

# კლიმატის ცვლილების გავლენის შედეგების მიმოხილვა სამცხე ჯავახეთის ლანდშაფტებზე

*მაია ცხვარაძე*

ელ-ფოსტა: [maia.tskhvaradze474@ens.tsu.edu.ge](mailto:maia.tskhvaradze474@ens.tsu.edu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

კაცობრიობის წინაშე მდგარ გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უმწვავესია კლიმატის ცვლილება. მრავალი მეცნიერის, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის ძალისხმევა მიმართულია იმ გზების ძიებისაკენ, რომლებიც შეანელებდა კლიმატის ცვლილების პროცესებს და შეძლებისდაგვარად შეასუსტებდა კლიმატის ცვლილებით გამოწვეულ საფრთხეებს და თავიდან აგვაცილებდა გარემოს დეგრადაციის შედეგად მოსალოდნელ სოციალურ-ეკონომიკურ დესტაბილიზაციას.

კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგები საქართველოს ძლიერ საფრთხეს უქმნის. ქვეყნის ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, პრობლემებიც კომპლექსურია.

კლიმატის ცვლილების გავლენას მრავალი კვლევა მიემდგნა, თუმცა დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი ეს გავლენა ცალკეულ ლანდშაფტებზე. ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ის მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა ახსნილიყო კლიმატური პირობების ცვლის მოზაიკური ხასიათი.

ლანდშაფტის ცვლილების დადგენა თანამედროვე გეოგრაფიული და გარემოსშემსწავლელი კვლევების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ვინაიდან იგი მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, ლანდშაფტის ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს და მეორეს მხრივ, მასში მიმდინარე ტენდენციების დასადგენად. ასეთი კვლევები შესაძლებლობას იძლევა შეიქმნას მეცნიერულად დასაბუთებული საფუძველი ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ლანდშაფტური დაგეგმარებისა და გარემოს დაცვისათვის. შესაბამისად ნაშრომის უმთავრესი მიზანია ჯავახეთის რეგიონის ლანდშაფტების კლიმატის ცვლილების გავლენის შეფასება და მათი სივრცე-დროითი მოდელის შექმნა.

ნაშრომში განხილულია კლიმატის ცვლილების გავლენა სამცხე ჯავახეთის ლანდშაფტებზე და წარმოდგენილია პირველადი შედეგები.